

სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სასწავლო ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება ერთიანი სამაგისტრო გამოცდისა და საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს მიერ დადგენილი წესით სპეციალობაში და უცხო ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული)¹ მისაღები გამოცდის ჩაბარების შედეგად მოიპოვებს სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლებას.

გერმანული ენა	Goethe – Zertifikat B2
ინგლისური ენა	CEFR B2
	IELTS exam – 5
	BEC exam and CELS exam – Vantage
	Cambridge exam – FCE
	Pritman ESOL International
	TOEIC – 541
ფრანგული ენა	TOEFL – 500 (paper - based) 173 (computer - based) 61 (internet - based)
	Diplome de Langue Francaise (DL) (AF)
	Diplome d’Etudes en Langue Francaise DELF/B2 (CIEP)

- ვისაც აქვს ჩაბარებული: Zertifikat Deutsch für den Beruf, DAF, sprachdiplom kultusministerkonferenz
- Konferenz, ZMP, Zentrale Oberstufenprüfung, Kleines/Grosses Deutsches Sprachdiplom, DSH უნივერსიტეტებისთვის თავისუფლდება გერმანულში გამოცდისაგან.

სამაგისტრო პროგრამაზე ერთიანი სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლა დასაშვებია:

- მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- პირებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა),

¹ უცხო ენის ტესტირებისგან თავისუფლდება კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს, ასევე კანდიდატი, ვისაც შესაბამის ენაზე აქვს გავლილი ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის კურსი.

რომლებიც უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ ბოლო 1 წლის ან მეტი ხნის განმავლობაში , სწავლობენ / სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები / კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მაგისტრატურაში ;

გ) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კერძოდ:

გ.ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

გ.ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ.გ) პირებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ ბოლო 1 წლის ან მეტი ხნის განმავლობაში, სწავლობენ / სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები / კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.